

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2 -3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4 -5
ფულადი სახსრების მოძრაობა	6
 ფინანსური ანგარიშგება	
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-17

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა


	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		1,792,702	3,424,046
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	15,860	436,906
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	8	1,204,588	483,286
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	8	53,363	123,462
მარაგები			
- შპს პროდუქცია	7	373,200	376,466
- სხვა		124,488	1,697,030
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები		21,204	306,896
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,329,640	1,387,253
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		1,608,241	1,575,981
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		4,730,584	6,387,280

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
საფაქრო ვალდებულებები	10	1,126,820	2,545,732
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		29,806	27,630
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		183,168	-
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		1,339,794	2,573,362

ხელმოწერილი პირები:



სახელი გვარი - დირექტორი



სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

		31/12/2023	31/12/2024
	საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1560388	1533471
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1830402	2280447
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		3390790	3813918
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		3390790	3813918
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4730584	6387280
სულ მოკლევადიანი აქტივები		1792702	3424046
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1156626	2573362
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები		0	0

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

	შენიშვნა	2023 წ	2022 წ
ნეტო ამონაგები		2615898	5272820
საქონლის გაყიდვიდან	11	2,481,088	5,009,630
მომსახურების გაწევიდან	11	77,793	93,294
სხვა		57,017	169,896
გაყიდვების თვითღირებულება	12	-2,001,446	-2,920,427
საერთო მოგება		614,452	2,352,393
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,144	74,397
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	-629,042	-1,259,662
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	13	-153,718	-111,154
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		-2,465	-23,129
იჯარის ხარჯი	13	-28,821	-37,678
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-245,480	-698,301
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,055,383)	(2,055,527)
საოპერაციო მოგება		(440,930)	296,866
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(440930)	296866
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		(440930)	296855

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(440930)	296866

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		(440930)	296866
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)			
მოგება / (ზარალი)		(440930)	296866

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		-440930	296866
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-440930	296866
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3813918	2043387
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		26917	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	296866
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-9115	1176799
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3390790	3813918
კვლევისა და განვითარების ხარჯები		0	0

ხელმოწერილი პირები:

სახელი გვარი - დირექტორი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2023	საანგარიშგებო პერიოდი 2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	(1573092)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(421046)	1770531
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(421046)	197439
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	436,906	239,467
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15,860	436,906

ხელმომწერი პირები:

სახელი გვარი - დირექტორი

სახელი გვარი - მთავარი ბუღალტერი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის - შპს ეუროფასადი+ და შვილობილი კომპანიების (შპს ეუროფასადი++ და შპს ეიფორია) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ეუროფასადი+ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2014 წლის 16 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის:

მესაკუთრე	წილი
ბესიკ საბაშვილი (პ/ნ 01021006944)	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოსაპირკეთებელი სამუშაოები და მოსაპირკეთებელი მასალების რეალიზაცია. კომპანიის ადმინისტრაციული ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქ. შარტავას ქ., N 65

შპს ეუროფასადი+ მშობელი კომპანიაა და ფლობს შესაბამის წილებს შემდეგ საწარმოებში:

შვილობილი საწარმო	წილი
შპს ეუროფასადი++ (ს/კ 405143367)	100%
შპს ეიფორია (ს/კ 405358447)	90%

შპს ეუროფასადი++ დაარსდა 2016 წლის 31 მარტს, მის საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქ.შარტავას ქ. N 65. ხოლო ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენს ოზურგეთის რაიონი, შეკვეთილი.

შპს ეიფორია დაარსდა 2019 წლის 17 ოქტომბერს, მის საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქ.შარტავას ქ. N 65. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გახოკიძის 2ა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9753

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფში შემავალი კომპანიები გააგრძელებენ ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებენ აქტივებს და დაფარავენ ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობა	30
--------	----

ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალება მანქანა დანადგარები	3-5 5-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი საადრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

გადასახადები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო კანონმდებლობაში გახორციელებული ცვლილებების გამო გადავადებული მოგების გადასახადი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველი ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით. გაუფასურების ზარალი პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

წარმოგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

წარმოდგენილი ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს ეუროფასადი+ (ს/კ 405075582)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი, 2023

6. ძირითადი საშუალებები

დასახელება	საწყისი ნაშთი		დებეტური ბრუნვა		კრედიტული ბრუნვა		საბოლოო ნაშთი	
	ღირებულება	ცვეთა	ღირებულება	ცვეთა	ღირებულება	ცვეთა	ღირებულება	ცვეთა
ავეჯი ოფისისათვის	31520	23395		4176.09	2008.47	1841.09	29511.2	25730.01
ელექტრონული მოწყობილობები	407973	183069	4875.41	48741.32	20512.77	14170.44	392335.61	217639.82
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	3753	2185	0	678.13	0	0	3752.54	2863.09
კომპიუტერები	15756	5820	0	2462.77	1502.03	1333.75	14254.03	6948.54
მსუბუქი ავტომობილები	85976	30705	0	6181.9	0	0	64911.2	30761.38
სხვა	120512	44991	14574.41	15339.43	14132.81	3795.39	120953.58	56534.9
სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები	0	0	0	2174.24	10194.07	5219.23	10871.2	3080.17
შენობა-ნაგებობა	494507	90660	0	19780.29	0	0	494507.14	110439.95
მიწა	461940	0	0	0	0	0	461940	0
სულ	1621937	380824	19449.82	99534.17	48350.15		1593036.5	453997.86

7

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2023	2022
საქონელი	15,394	1,375,806
დაუმთავრებელი წარმოება		65
საოფისე მარაგები		1,698
სამშენებლო /სარემონტო მასალები		310,276
საკანცელარიო მარაგები		230
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი		4,087
სულ	15,394	1,692,163

8

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1113649	418849
გადახდილი ავანსები		120267
სულ	1,113,649	539,116

9

ფული და ფულის ექვივალენტები

	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში GEL	1,807	329,200
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში USD		523
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში EUR		0
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში GBR		32
ბანკის მიერ დროებით ბლოკირებული თანხები / გრანტები	1,449	1,449
თანხა სალაროში		75,731
სულ	3,256	406,935

10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	52,932	53,644
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები სავალუტო EUR/USD	24,578	19,295
მიღებული ავანსები (დაუბეგრავი)	451,573	39,759
მიღებული ავანსები (დასაბეგრი)		1,857,584
სულ	529,084	1,970,281

11

შემოსავალი

	2023	2022
--	------	------

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	2424651.7	4,873,974
სხვა	55,673	169,892
სულ	55,673	5,043,866

12	თვითღირებულება		
		2023	2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		464,904	3,049,064
ძირითადი მასალების დანახარჯები		1,292,391	
სულ		1,757,295	3,049,064

13	საერთო ადმინისტრაციული ხარჯები		
		2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება		514,961	1,193,328
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		68,828	28,644
საპროცენტო ხარჯი		2,465	66,370
ოჯარის ხარჯი		28,822	567,628
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		615,076	1,855,969

7. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. ახალი რეგლამენტის მიხედვით, მოგების გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის მოგების გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ არის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის ითვლება მოგების განაწილებად, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ეკონომიკური შინაარსის ხარჯები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 მოგების გადასახადის ფარგლებს მიღმა და იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

17. პირობები და ვალდებულებები

ჯგუფის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ჰქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ზშირად ჰქონდეს. ჯგუფის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია, რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ჰქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულია.

საინვესტიციო
ვალდებულებები

ჯგუფს არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო მოვლენები	პერიოდის არ დაფიქსირებულა.	შემდგომ დასკვნის	გაშვებამდე	მნიშვნელოვანი
----------------------------	-------------------------------	---------------------	------------	---------------